ᲠᲘᲠᲣᲯ ᲡᲐᲮᲘᲠᲓᲘᲡᲯᲘᲠᲘ



ᲠᲯᲕᲠᲯᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ტᲣᲠᲘᲡტᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲑᲘᲜᲐ
ტᲔᲚ: (+995 0422) 29 44 10; (+995 577) 90 90 93
ᲔᲚ-ᲤᲝᲡტᲐ: ticbatumi@gmail.com
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲑᲘ: ᲙᲘᲠᲙᲘᲚᲝᲕᲐ
ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ: 24/7

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ტᲣᲠᲘᲡტᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 2
ტᲔᲚ: (+995 0422)29 44 12; (+995 577) 90 90 91
ᲔᲚ-ᲤᲝᲡტᲐ: ticbatumi@gmail.com
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲑᲘ: ᲙᲘᲠᲙᲘᲚᲝᲕᲐ
ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ: 09:00 – 22:00

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲘᲡᲛᲝᲒᲖᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘᲡ
ტᲣᲠᲘᲡტᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲘᲡᲛᲝᲒᲖᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘᲡ ᲯᲘᲠᲗᲐᲜ
ტᲔᲚ: (+995 0422) 29 44 14
ᲔᲚ-ᲤᲝᲡტᲐ: ticbatumi@gmail.com
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲑᲘ: ᲙᲘᲠᲙᲘᲚᲝᲕᲐ
ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ: 24/7

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲘ (24/7)
0 800 800 909
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ტᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡტᲠᲐᲪᲘᲐ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 4, 0105, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ტᲔᲚ: (+995 32)2436999
ᲔᲚ-ᲤᲝᲡტᲐ: info@gnta.ge
georgia.travel
www.fb.com/GeorgiaAndTravel

ᲐᲠᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲡᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲖᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ 2017

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შავი ზღვის სანაპიროზე. მისი სამხრეთი საზღვარი ემთხვევა თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და მიჰყვება შავშეთის ქედს; ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება მესხეთის ქედი, აღმოსავლეთით – არსიანის ქედი, დასავლეთით - შავი ზღვა. აჭარის ფართობი 2,9 ათასი კვ.კმ.-ია, რაც შეადგენს საქართველოს ტერიტორიის 4,2 %. აჭარა მოიცავს ხუთ მუნიციპალიტეტს: ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს.

ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

აჭარა ზღვისპირას გაფენილი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა, რომელშიც ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ზღვისა და მთის თვალწარმტაცი ხედები. აჭარის ამ თავისებურებით მრავალგზის მოხიბლულან მისი სტუმრები. ამ კუთხის ძალზე საინტერესო გეოგრაფიულ რელიეფს ქმნის მესხეთის, არსიანისა და შავშეთის ქედები, რომელთა საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 2000-2500 მ-ია. აჭარის უმაღლესი მწვერვალია ყანლის მთა (ზღ. დ. 3007 მ.), რომელიც არსიანის ქედზეა განლაგებული; ამავე ქედზეა გოდერძის ულამაზესი უღელტეხილი (ზღ. დ. 2027 მ.). აჭარას მთიან და ზღვისპირა ზონებად ყოფს ქობულეთი-ჩაქვის ქედი. შთამბეჭდავ სანახაობას წარმოადგენს მდინარეების - ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობები. მათი წყალუხვი შენაკადების ირგვლივ განფენილი ტყეების ფლორასა და ფაუნაში მრავლადაა წარმოდგენილი უნიკალური, ენდემური ჯიშები.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

აჭარა, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული, უძველესი ხანიდანაა ცნობილი. მეცნიერთა აზრით, ეს ტერიტორია ახალი ქვის ხანიდან უნდა იყოს დასახლებული. ამ ხანის ძეგლები მაღალმთიან კურორტ ბეშუმთანაა ნაპოვნი. მდ. ჭოროხის აუზი ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთი ძირითადი კერა იყო. ამდენად, აჭარის ტერიტორიაზე მრავლად მოიპოვება ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის ძეგლები. ქართულ მატიანეში აჭარა პირველად მოიხსენიება ძვ. წ. აღ.-ის III საუკუნეში, როგორც ქართლის სამეფოს ნაწილი. საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლა სწორედ ამ კუთხეს უკავშირდება. ქრისტეს მოციქულმა - ანდრია პირველწოდებულმა პირველად ქრისტიანობა აჭარაში იქადაგა. XVII საუკუნეში აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს. 1609 წელს ის გათავისუფლდა და გურიის სამთავროს შეუერთდა. 1614 წელს კი კვლავ ოსმალების ხელში აღმოჩნდა და 1878 წლამდე მათი ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. 1878 წელს კი რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა საქართველოს დაუბრუნდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს, აჭარა გამოცხადდა ავტონომიურ რესპუბლიკად. ამ სტატუსს ის დღემდე ინარჩუნებს.

ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘ

აჭარის მიკროკლიმატის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ქობულეთ-ჩაქვის ქედს. მისი ზეგავლენით, ზღვის სანაპირო აჭარა ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით, მთიანი აჭარა კი შედარებით ნაკლებად ტენიანი მთის კლიმატით.

ზღვისპირა დაბლობზე იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 14-14,5 გრადუსია იანვარში 6-7 გრად. ზაფხულში 22-23 გრად. აბსოლიტური მაქსიმუმი აღწევს 40-43 გრად-მდე.

აჭარის კლიმატური პირობების უნიკალურობა გამოიხატება იმითაც, რომ როცა მთებზე თოვლია იქვე ახლოს შეიძლება ხასხასა სიმწვანეს და უამრავ მოყვავილე ბალახოვან მცენარეს შეხვდეთ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

ბათუმი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი და საქართველოს შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი მსხვილი კლიმატური ტიპის კურორტია. იგი მდებარეობს შავი ზღვისსამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ღრმა ყურეზე. ბათუმის სახელწოდება ბერძნული ძირიდანაა წარმომდგარი, ადრე მას მოიხსენიებდნენ ბერძნული სახელწოდებით "ბათიუს ლიმან", რაც ღრმა ყურეს ნიშნავს. მეცნიერები თვლიან, რომ სწორედ აქ ერწყმოდა ერთმანეთს ორი უძველესი კულტურა-ანტიკური და კოლხური. ბათუმის, როგორც კურორტის ძირითადი მახასიათებლებია:

კლიმატოთერაპია, ჰელიოთერაპია და თალასოთერაპია. აქ ზღვის წყალი მაღალი მინერალიზაციით გამოირჩევა. ბათუმში ყოველთვის თბილა. ზამთრის ყველაზე ცივი თვის - იანვრის ტემპერატურა +7-1Ο გრად ცელსიუსია - ია. ქალაქის ის ნაწილი, რომელსაც ბათუმელები ,,ძველ ბათუმს" ეძახიან, დაახლოებით 150 წლისაა. ძველ ბათუმში ერთმანეთის მიყოლებითაა ჩამწკრივებული ჯეზვეს საამქრო და ყავის წისქვილი, რომლიდან გამოსული არაჩვეულებრივი არომატი მთელს უბანში დგას. საერთოდ ყავის სმის რიტუალს დიდი ადგილი უჭირავს ბათუმურ ცხოვრებაში. ქალაქის მკვიდრნი და სტუმრები ასაკისა და ინტერესების მიხედვით ღია კაფეებში იკრიბებიან და გაცხელებულ ქვიშაზე მოდუღებულ, არომატულ, შავ ყავას მიირთმევენ. ძველი ბათუმის შენობები განუმეორებელი სილამაზისაა. უმეტესად 2-3 სართულიანი ნაგებობები უხვადაა შემკული ქიმერების, უსახელო მითიური არსებების, ლომების და სხვა ბარელიეფით. ყველაზე თავბრუდამხვევი ბათუმი მაგნოლიების ყვავილობისასაა. ამ პატარა თეთრ ქალაქში უამრავი მაგნოლიის ხეა, რომელთა ყვავილობისას მთელი ქალაქი გამაბრუებელ არომატში ეხვევა.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ

ქალაქის ტიპის რაიონული ცენტრია. მდებარეობს შავი ზღვის სანაპირობზე; ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით.

კლიმატი სუბტროპიკულია, ზამთარი ძლიერ თბილია და უთოვლო (იანვრის საშუალო ტემპერატურაა +4,8°c ზაფხული ძლიერ თბილია, აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა +22,6°c). ქობულეთის პლაჟი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე.კურორტის მთელ სიგრძეზე (12 კმ) პლიაჟს ეკვრის შესანიშნავი პარკი სხვადასხვა ჯიშის ხეებით.

კურორტი განკუთვნილია უმთავრესად გულსისხლძარღვთა სისტემით დაავედებულ ავადმყოფთა სამკურნალოდ, მაგრამ საკმაოდ კარგი შედეგებია მიღებული ფილტვების არასპეციფიკურ დაავადებების, ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლისა და ძვალ-სახსართა ტუბერკულიოზის დროსაც.

ᲪᲘᲮᲘᲡᲫᲘᲠᲘ

კურორტი მდებარეობს ქობულეთის რაიონში 19 კმ-ში ჩრდილო-აღმოსავლეთით ბათუმიდან, 70_92 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

კლიმატი სუბტროპიკულია, ზამთარი ძალინ თბილი და უთოვლოა (იანვრის სასუალო ტემპერატურაა +6,2°c), ზაფხული ძალიან თბილია (აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა +22,6°c).

ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲙᲝᲜᲪᲮᲘ

აჭარის ერთ-ერთი ულამაზესი კურორტია მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონში, ვიწრო სანაპირო ზოლში და მესხეთის ქედის ფერობებზე, ზღვის დონიდან 72 მ-ის სიმაღლეზე, ბათუმიდან 9 კმ-ის დაშორებით. ლამდშაფტი ზედმიწევნით ლამაზია და მდიდარი სუბტროპიკული

მცენარეულობით. კურორტს ამშვენებს ზღაპრული სილამაზის ბოტანიკური ბაღი. კლიმატი სუბტროპიკულია, ხასიათდება სითბოსა და სინოტივის სიუხვით. ზამთარი ძლიერ თბილი და უთოვლო (იანვრის საშულო ტემპერატურაა +4,5°c) ზაფხილი ძლიერ თბილია (აგვისტოს საშულო ტემპერატურაა +21,1°c). ნალექების წლიური ჯამი საშულოდ 2897 მმ-ს შეადგენს.

კურორტი განკუთვნილია ფილტვების არასპეციფიური დაავადებებითა და ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლილობით დაავადებული ადამიანებისათვის.

ᲛᲐᲮᲘᲜᲯᲐᲣᲠᲘ

ქალაქის ტიპის დასახლებაა ხელვაჩაურის რაიონში, 6 კმ ჩრდილო-აღმოსავლეთით ბათუმიდან.

კლიმატი ზღვისპირა, სუბტროპიკულია. ზამთარი რბილი უთოვლო (იანვრის საშუალო ტემპერატურაა +5,7°c), ზაფხული ძალიან თბილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა +22,6°c). ნალექების რაოდენობა წელიწადში 2750 მმ-ია. კურორტი განკუთვნილია სუნთქვის ორგანოთა (არატუბერკოლოზური ხასიათის), გულსისხლძარღვთა სისტემის, საყრდენ-სამოძრაო აპარატის, პერიფერიული ნერვებისა და გინეკოლოგიური პროფილის დაავადებების სამკურნალოდ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ – ᲞᲔᲢᲠᲐᲡ ᲪᲘᲮᲔ

პეტრას ციხე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის ტერიტორიაზე მდებარეობს და ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნით თარიღდება. ეს ტერიტორია ისტორიულად ერთ-ერთი ქართველური

ტომის – ლაზების სამოსახლო იყო. უნიკალური სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური მდებარეობის გამო ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ აქ ქალაქი გააშენა. ქალაქის ტერიტორიაზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სახმელეთო გზა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა დასავლეთ საქართველოს, ბიზანტიის პროვინციებს, ირანს და სომხეთს. ასევე კარგად იყო განვითარებული საზღვაო-საკაბოტაჟო ნაოსნობა.

შუა საუკუნეებისათვის პეტრას ციხე იმდენად მიუდგომელი გახდა, რომ მას ქაჯეთის ციხე უწოდეს.

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲒᲝᲜᲘᲝᲡ ᲪᲘᲮᲔ

გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე ბათუმიდან სამხრეთით, 12 კმ. დაშორებით, მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. ის ნამდვილი სამოთხეა ისტორიულ-კულტურულ სიძველეთა მოყვარულთათვის. გამორჩეულია მისი არქიტექტურული წყობა. ციხის კედლების საერთო სიგრძე 900 მეტრს შეადგენს, სიმაღლე 5 მეტრია, ხოლო კოშკებისა 7 მეტრს აღწევს. დღეისათვის გონიოს ციხე სულ 18 კოშკს მოითვლის. თავდაპირველად მას 22 კოშკი ჰქონდა. 4 მთავარი კოშკი ციხის გალავნის კუთხეებში იყო განლაგებული. ადრე ციხეს 4 შესასვლელი ჰქონდა, რომელთაგანაც დღეს მხოლოდ დასავლეთი კარიბჭე ფუნქციონირებს.

ციხის უძველესი არქეოლოგიური ფენა ძვ. წ. აღ. XVIII-XVII საუკუნეებს მიეკუთვნება.

გონიოს სამხრეთ კედლის გარეთ აღმოჩენილია ძვ. წ. აღ. V საუკუნის სამარხები. იმდროინდელი ისტორიკოსის ცნობით, გონიოს ციხე რომის აღმოსავლეთი საზღვრის სტრატეგიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი იყო. ახ. წ. აღ. I-III საუკუნეებში აქ ფუნქციონირებდა თეატრი და ჰიპოდრომი. აფსაროსშია დაკრძალული ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული –

მატათა.

ᲥᲔᲓᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲓᲐᲜᲓᲐᲚᲝᲡ ᲗᲐᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲮᲘᲓᲘ

დანდალოს თაღოვანი ხიდი მდებარეობს ქედის რაიონის სოფ. დანდალოში მდ. აჭარისწყალზე. ხიდის სიგრძე_34,5 მეტრია, სიგანე - 2,8 მ. დანდალოს ხიდის მარჯვენა ბურჯი პირდაპირ კლდეზეა დაშენებული, მარცხენა ბურჯი კი წყალშია შეჭრილი, ხიდი ქვით არის ნაგები.


პიროგითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი
მუნიციპალიტეტი
საკრებულოს ცენტრი
სოფელი
გზა და რკინიგზა
საერთაშორისო მნიშვნელობის გზატკეცილი
სახელმწიფო მნიშვნელობის გზატკეცილი
სახელმწიფო მნიშვნელობის გრუნტი
მაგისტრალი
ადგილობრივი მნიშვნელობის გზა
გაუმჯობესებული გრუნტი
სასოფლო
საველე და ტყის გზები
ბილიკები
რკინიგზა სადგურებითა და გაჩერებებით
სიმაღლე